ჟურნალ „ოსკარის“ დამატება
№ 6
ფასი 40 თ.

ფან-კლუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 თებერვალი, 2003 წ.

იფიცებს თუ არა შვილს ლელა წურწუმია?

სად ცხოვრობს სტეფანე?

გურამიკო, როდესაც ფანების წერილებს კითხულობ, რაიმე მეგობრული გრძნობა თუ გიჩნდება მათდამი?

რა სახის ალკოჰოლურ სასმელს ანიჭებს უპირატესობას JLO?

რომელია მოქეიფე “დუტას” საყვარელი სადღეგრძელო?

„ქაჩის ბიჭებს“ შეხვდი პირისპირ „ფან-კლუბის“ დახმარებით. წაიკითხე მე-16 გვერდზე

დეიდა ვასასის ჭორები ქეთა თოფურიაზე, თემურ თათარაშვილსა და კახა ცისკარიძეზე

კითხვა-პასუხი

ერთიანი ბიბლიოთეკა

ვყავს თუ არა აჩიკო მეფარიძეს შეყვარებული?

გოგა, 10 წლის

– მომღერალი შეყვარებული არ არის.

იფიცებს თუ არა შვილს ლელა?

დათო, 13 წლის

ლელა: – ზოგჯერ ვიფიცებ.

რამდენი წლისაა მარიკა თხელიძე?

თეონა, 15 წლის

– მარიკა 14 წლისაა.

დათო, გადაიღებ კლიპს სიმღერაზე „მახინჯი ვარ“?

დათო: – კი, ამ სიმღერაზე ვაპირებ, კლიპის გადაღებას.

როდის ჩამოვა სალომე გასვიანი?

– სალომე ლოს-ანჯელესში სწავლობს, ასე რომ იგი 6 თვეს არ ჩამოვა.

ზურა და პაატა ბანკეტზე რომ დავპატიჟო მოვლენ?

– როგორც ბიჭებმა აღნიშნეს, მათ შეუძლიათ პირიქით შენ დაგპატიჟონ თავიანთ კონცერტზე.

მამუკა ონაშვილი ისევ დიეტაზეა?

თათა, 17 წლის

– მამუკა დიეტაზეა, თუმცა, საკვებსაც კარგად მიირთმევს.

მაინტერესებს როდის გადაიღებენ კლიპს ია ჩანტლაძე და კახა კუხიანიძე?

– იამ და კახამ უკვე გადაიღეს ამ დუეტის საკონცერტო ვერსია, რომელიც მალე გამოვა.

მართალია, თუ არა, რომ ჯგუფ „სთეისის“ მენეჯერია ზალიკო ბერგერი?

– ეს სიმართლეა, ზალიკო „სთეისის“ მენეჯერიც არის და დიზაინერიც (იმიჯმეიქერი).

ჯგუფ „ემი“-ში რომელია უფროსი, შავთმიანი თუ ქერა?

ლია, 14 წლის

– „ემი“-ში უფროსია შავთმიანი, ეკა.

რამდენი წლისაა „ბახალა?“

გიო, 13 წლის



– „ბახალა“ ოცდასამი წლისაა.

რა ჰქვია დათო ხუჯაძის მეგობარ გოგონას?

თიკო მანჯგალაძე

დათო: – ეს არავის საქმე არ არის.

ვყავს თუ არა შვილი მალხაზ ქვრივაძეს?

ბებ, 14 წლის



– მალხაზს ერთი ქალიშვილი ჰყავს.

ძაღლი თუ უყვარს პაატას?

პაატა: – მიყვარს, რატომაც არა. ახლა მიბარებული გვყავს ძაღლი მასწავლებელთან, რათა კარგად გაიწვრთნას.

დაუბრუნდება თუ არა მაია ყარყარაშვილი სცენას?

– როგორც მაიამ აღნიშნა, იგი ახალ რეპერტუარზე მუშაობს და სულ მალე გამოჩნდება კიდეც.

ნინო ქარსელაძე ყოველთვის იგვიანებს სკოლაში?

მანუჩარი

– არა, ნინო ყოველთვის არ იგვიანებს სკოლაში, როცა დილით ადგომა ეზარება, მაშინ უხდება დაგვიანება.

გაზეთი "ფან-კლუბი" ჟურნალ "ოსკარის" დამატებაა. რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. ჟურნალში მოყვანილი ჭორებისა და კულუარული ინფორმაციის შესახებ რედაქცია პასუხს არ აგებს.

მთ. რედაქტორი: ნოდარ მელაძე,
რედაქტორის მოადგილე:
თამუნა გონგაძე.
ჟურნალისტები: ნინო კუტალაძე,
თამთა მჭედლიშვილი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვის შემთხვევაში „ფან-კლუბის“ მოხსენიება აუცილებელია.

მუსიკალური ვიქტორინა

მათ, ვისაც ინტუიცია არ ღალატობს, ან შეუძლია ნოტების საშუალებით სიმღერის აწყობა, გაზეთი "ფან-კლუბი" აძლევს საშუალებას გაერთოს და ამასთანავე პრიზებიც მოიგოს. მოცემული ხუთი სიმღერიდან თქვენ უნდა გამოიცნოთ: პლაკატების ნაკრების მოსაგებად — სამი მათგანი, კალმისტრის მოსაგებად — ოთხი, ხოლო აუდიოკასეტის მოსაგებად — ხუთი სიმღერა. თქვენი პასუხები უნდა ჩაწეროთ ქვემოთ მოცემულ ბლანკში და გამოგზავნოთ მისამართზე: კოსტავას 14.

1. სიმღერა ოცნებაზე, რომელსაც ახდენის დრო დაუდგა



2. სიმღერა ქალაქზე, რომელიც სხვა ქალაქს არ ჰგავს.



3. სიმღერა სარკინიგზო ტრანსპორტზე.



4. სიმღერა ფრინველზე, რომელიც მარგალიტს ჰგავს.



5. სიმღერა მეტირალა ღრუბელზე.



მუსიკალური ვიქტორინა №6.

1 _____

2 _____

3 _____

4 _____

5 _____

გვარი, სახელი, ტელეფონის ნომერი _____

შენ მე გული დამწყვიტე



დღემდე იმ იმედით ვცოცხლობდი, რომ შენ გაგიცნობდი და დაგიახლოვდებოდი. მაგრამ გავიგე ის რისი გაგებაც ყოველთვის მაშინებდა – სტეფანემ ცოლი მოიყვანაო. ამან გული ორად გამიპო და ცხოვრებაზე წარმოდგენა შემაცვლევინა. ამიერიდან აღარაფერი აღარ მაინტერესებს ჩემთვის ცხოვრებამ აზრი დაკარგა. ყოველდღე იმ იმედით ვიხედებოდი სარკეში, რომ ოდესღაც ჩემი თვალები შენი სიყვარულით ავსებული გაიბრწყინებდა. სამწუხაროდ შენ ამ თვალებში სიცოცხლე ჩააქრე. სტეფანე – ჩემო განუხორციელებელო სიყვარულო. რატომ გადადგი ასეთი ნაბიჯი. ამან შეიძლება გამოუსწორებელი რამ ჩამადენინოს. არ მინდა ამაზე ვიფიქრო, მაგრამ წამდაუწუმ შენი სახე მელანდება. ირგვლივ ყველა დამცინის, რაღა დროს მაგაზე ფიქრიაო, მაგრამ მე არავის ლაყბობას ყურს არ ვუგდებ. მივსტირი ჩემს დაკარგულ სიყვარულს. არ ვიცი რა მეშველება, ერთი კი ფაქტია სახე ჩამომტირის და ისეთი დაბნეული ვარ, რომ ლამისაა ქუჩაში მიმავალს მანქანა დამეჯახოს. ორი ღამეა არ მიძინია და ბალიშს წამდაუწუმ ვაბრუნებ. იმედად შენი პლაკატები შემომრჩა, მათ ვეფერები და თან ვეჩხუბები კიდევაც. მეგობრები ვეღარ მიტანენ ამ დღეში რომ მხედავენ. არ ვიცი რითი ვინუგეშო თავი. ვზივარ და შენს სიმღერებს ვუსმენ, რომლებზეც ღაპა-ღუპით ჩამომდის ცრემლები. შენ ჩემი ცხოვრების ერთი ეტაპი დაასრულე.

უიმედო მარი, 16 წლის

(სტილი დაცულია)

ჭრიალა-ჭრიალა ამბები

დათო გომართელი ბავშვობიდან აქტიურად სრიალებს თხილამურებზე. ერთხელაც, თოთხმეტი წლის ასაკში კოხტადან დასაშვებად საბაგირო ტრასით ასულა. ამ დროს, მოულოდნელად ელექტროენერგია გამორთულა და საბაგირო გაჩერებულა. მოთხილამურეებს დენის მოსვლის იმედი რომ გადეწურაბ, ვინც ახლოს იყო მინასთან, ხტებოდნენ თურმე. საბაგირო თითქმის დაცარიელებულა და დათო ზევით ზევით წასულა. „– შიშისაგან ლამის გული გამისკდა. ბოლოს, ვინც დავრჩით, ბაგირებით ძლივს ჩამოგვიყვანეს“ – ამბობს მომღერალი.



თურმე, გურამიკო ლომიძის ცოლს – ხატია შამუგიას, სულაც არ ანიზიანებს მისი მეუღლის თაყვანისმცემლები, პირიქით, ისინი უყვარს. „– უსმენენ, პატივს სცემენ გურამიკოს და ვინც ჩემს მეუღლეს სცემს პატივს, ის მეც უნდა მიყვარდეს. ისე, თაყვანისმცემლების ნაკლებობას არც მე განვიცდი და მესმის, რას ნიშნავს ხელოვანი ადამიანისთვის მათი სიმრავლე“ – აცხადებს ხატია. მას ძალიან ჰყვარებია მისი რადიომსმენელი. „– ისინი ეთერში გასასვლელად მაძლევენ სტიმულს“.



ზუკას მშობლებმა – გიომ და მაიამ ჯვარი მეტეხში დაიწერეს, ხელი კონკაზე მოაწერეს. ქორწილისთვის მაია რომ კაბას იკერავდა, ოთხი თვის ფეხმძიმე ყოფილა, ჰოდა, ერთ „პრიმერკაზე“ თუ კარგად ჰქონდა კაბა, მეორეზე უკვე ვიწრო იყო. მკერავი გაგიჟებულა. ბოლოს უთქვამს კიდეც მაიასთვის, ქორწილამდე ერთი საათით ადრე წაიღე კაბაო.

„შენ შორს ხარ მაგრამ, მე შენს გულში ვარ“

გამარჯობა "ფანკლუბელებო", მე თქვენი ძველი მკითხველი, მეგობარი და ფანი ვარ. ძალიან მიხარია გაზეთ „ფან-კლუბის“ დაარსება, ჩემი წერილი დიდი სიყვარულით ეძღვნება ლელა წურწუმიას.

ლელა დღეს შენ შორს ხარ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჟურნალი „ფან-კლუბი“ შენი ნახვის საშუალებასაც მომცემს.

ლელა ძალიან მიყვარხარ და გისურვებ დიდ წარმატებებს.

„შენ ვერ გხედავ და გული
მტკივა
არ ვიცი რატომღაც ტირილი
მინდა
ჩემი გული შენ დამიჭერი
რატომ, რატომ, რატომ
ვერ ვხედავ,
საოცრად მიყვარხარ ჩემო
საყვარელო
დღეს ნამდვილად კარგი
დღე გათენდა
საოცრად მინდა, მინდა
რომ გნახო
მექნება ნეტა ეგ საშუალება“?

ლელა წურწუმიაზე
შეყვარებული ძველი ფანი
ბესო ფილიევი, 14 წლის.
(სტილი დაცულია)

ეიყვარებდა ეთვალთმაქცა

ნიკა ლომიძეს

ნიკა ამ წერილს გწერს შენზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, რომელსაც შეიძლება ითქვას საკუთარ თავზე მეტად უყვარხარ. პირველად გაგიცანი "მაესტროს" კონცერტზე კულისებში, მოგატყუილე ვითომ ჟურნალისტი ვიყავი და ტელეფონის ნომერი დაგაცინცლე. იმის მერე სულ მინდა დარეკვა, მაგრამ ვერ ვბედავ. ყოველ დილით როდესაც ტოროლას ვუყურებ და შენ მიგყავს ჩავიცვავ ჩამოვივლი დოლიძის ქუჩას და თქვენი ტელევიზიის ახლო-მახლოს შენს მანქანასთან გავჩერდები ხოლმე. დაგინახავ თუ როგორ ჩამოივლი კიბეებს, ჩაჯდები და წახვალ. მე კი მოსვლას ვერ ვბედავ, არ შემიძლია, რომ ხმამაღლა გითხრა მიყვარხარ!

ერთხელ მახსოვს ვილაცა ფანის წერილი წავიკითხე და ისე გავმწარდი, მეგონა შენს თავს ვინმე მართმევდა, მაგრამ უეცრად გამოვფხიზლდი და მივხვდი, რომ მეც შემეძლო შენთვის წერილის მოწერა. დაქალები მეუბნებიან – რამ შეგაყვარა ეგ ნიკა ლომიძეო, მილიონჯერ უკეთესი ხარ და თან შენზე დაბალიაო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ფიზიკური მონაცემები მაქვს მე მაინც შენ მიყვარხარ. მინდა მოხვიდე ჩემთან და მითხრა, რომ გიყვარვარ, მაგრამ მგონია რომ ამ ფიქრებს ნისლები შორს წაიღებს და შენსკენ სავალი გზებიც კი დაიფარება. მაგრამ ხომ იცი რომ იმედი ბოლოს კვდება და მეც პატარა ნაპერწკალი დამრჩა. მაგრამ ეს პატარა ნაკვერჩხალი იმის მაგივრად რომ გაღვივდეს ნელ-ნელა ქვრება. თავზარი დამცა იმან, რომ გავიგე თეა გობეჯიშვილი ცოლად მოგყავს. სანამ ამას საბოლოოდ გადაწყვეტ ერთხელ შემხედე და მჯერა, შენ დარწმუნდები, რომ მე შენი ოცნების ქალი ვარ.

ანუშკა, 19 წლის
(სტილი დაცულია)

დათო ხუჯაძეს

დიდსა თუ პატარას,
ყველას უყვარხარ,
შენი ხმა, სიმღერა
აგიჟებს ბევრს,
სცენასაც კი ფლობს'
აჩრდილი შენი,
შენ იპყრობ – შენი ხმით
სუყველა ერს.

აგიჟებ გოგონებს, ვაჟებსაც
გ[illegible]ვარგავენ გონებას
ეტ[illegible] ტალანტს და
შენს ხმას
და შენი აჩრდილის მონებას
მე მესმის შენი ხმა მაგიჟებს...
თითქოს და არ მესმის მსგავსი
რამ ამქვეყნად...
მიყვარხარ, მივყვები ამ
გიჟ ხმებს გოდებას
და შენი დანახვა მინათებს
გონებას.
ცხადშიც და სიზმარშიც
შენ გხედავ, მიყვარხარ
მეც მივსდევ შენი ხმის მონებას,
ასეთი რადა ხარ, ვინა ხარ!
რომ შენთვის ვკარგავ ჭკუას და
გონებას...
(სტილი დაცულია)

ჩემს უსაყვარლეს თამუნა ამონაშვილს

რატომღაც ნაკლებად მოდის წერილი თამუნა ამონაშვილზე. არადა ვთვლი, რომ თუკი ვინმეს უნდა ჰყავდეს ფანი საქართველოში ეს თამუნაა. იგი ერთ-ერთი პირველი მომღერალია. მე ძალიან მიყვარს მისი შემოქმედება. ძალიან დიდ პატივს ვცემ როგორც პიროვნებასაც. იგი მისი წარმატებების მიუხედავად საოცრად თავმდაბალი და სათნო ქალბატონია. თამუნას არასდროს უთქვამს უარი ავტოგრაფის მიცემაზე და სურათის გადაღებაზე. საერთოდ ყველა მომღერალი ასე უნდა იქცეოდეს. თამუნა იმ მომღერალთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც არასდროს ცვდება და ყოველთვის აქტუალურია. მიუხედავად ჩემი ასაკისა მე პატივს ვცემ ყველა მის სიმღერას, ძალიან ძველებსაც კი. ერთხელ იგი ქუჩაში მიმავალი დავინახე და მივუახლოვდი. ვთხოვე რაიმე სამახსოვრო ჩაეწერა ჩემს ბლოკნოტში. თამუნას უარი არ უთქვამს და დიდი სიამოვნებით დაახლოებით ორი წუთის განმავლობაში წერდა ჩემს ბლოკნოტში სამახსოვრო ტექსტს. მერე მომხიბვლელად გამიღიმა და მადლობა გადამიხადა ყურადღებისთვის. ეს სასიამოვნოდ ჩამრჩა გუნებაში. მასზე მანამდეც კარგი შთაბეჭდილება მქონდა, მაგრამ ამ ფაქტის შემდეგ იგი ერთი ორად შემიყვარდა. ამ წერილით იმის თქმა მინდა, რომ თუ მომღერალი ხარ და გინდა ხალხისთვის საყვარელი მომღერალი იყო, ამიტომ უნდა შეინარჩუნო თავმდაბლობა და იყო ისეთი რომ ყველას სიამოვნებდეს შენთან ურთიერთობა. ბევრ წარმატებას ვუსურვებ მას და მინდა, რომ ბედნიერი იყოს.

ეკა, 20 წლის
(სტილი დაცულია)

კითხვა-პასუხი

როდის აპირებს ლელა მეორე შვილის გაჩენას?

ლია, 21 წლის

ლელა: – ვაპირებ, მაგრამ როდის ზუსტად ვერ გეტყვით.

კითხულობს თუ არა კახა კუხიანიძე ფანების წერილებს?

ეკა, 15 წლის

– როგორც კახამ აღნიშნა, როცა კი ამის შესაძლებლობა აქვს, ყოველთვის კითხულობს მათ და თანაც დიდი სიამოვნებით.

ვყავს თუ არა აჩი ფურცელაძეს მეგობარი გოგონა?

აჩი: – მყავს, რატომაც არა.

სად ცხოვრობს მერაბი?

ანა, 15 წლის



– მერაბი ვერაზე ცხოვრობს.

რა ურთიერთობა აქვს დათო ხუჯაძეს თიკა ჯამბურიასთან, ნატოსთან კონფლიქტის შემდეგ?

ნინო, 16 წლის

– დათოსა და თიკას ჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, მათ, რა თქმა უნდა, ნატო ხელს არაფერში უშლით.

ვინ არის კახა ციხკარიძის მეჯვარე?

ნინო, 17 წლის



კახა: – ჩემი მეჯვარეა ზურა, ჩემი მეგობარი.

თიკა ფაცაციას ქმრის სახელი და გვარი მაინტერესებს.

მარიამი, 10 წლის

– თიკამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ მის მეუღლეს არ სიამოვნებს პრესაში მისი სახელის ხსენება, ამიტომაც არ დაასახელა იგი.

როგორ დაიწყო სასიმღერო კარიერა მერაბ სეფაშვილმა?

ანა, 15 წლის



– მერაბი პირველად დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავდა, შემდეგ გივი გაჩეჩილაძის ბენდში მოხვდა, სადაც პირველად წარსდგა ფართო აუდიტორიის წინაშე.

რომელია მოქეიფე "დუტას" საყვარელი სადღეგრძელო?

რუსიკო

– "დუტას" საყვარელი სადღეგრძელოა - ჩვენ გაგვიმარჯოს!

რა აქვს დამთავრებული კახა მამულაშვილს?

ანა, 13 წლის

– კახას დამთავრებული აქვს თ.ს.უ ეკონომიური ფაკულტეტი.

როგორ შეიძლება ზვიოს გულის მონადირება?

რუსიკო, 15 წლის

– როგორც ზვიომ გვითხრა, კარგა ხანია მისი გული თავისუფალია, ამიტომაც არც ისე ადვილია მისი მონადირება, ამის რეცეპტს კი ვერ მოგცემთო.

ჭრელა-ჭრელა ამბები

თურმე, ავთო ცქვიტინიძე წითლდება, როდესაც ვილაცის დაჟინებულ მზერას გრძნობს. მისთვის სირცხვილი და კომპლექსი სრულიად განსხვავებული ცნებებია. კომპლექსი მისთვის შებოჭვა უფროა, ვიდრე სირცხვილი. შებოჭილად გრძნობს თავს, როცა ყურადღების ცენტრშია. დიზაინერს თავად უკვირს, რატომ ვერ შეეჩვია ყურადღებას.

თურმე, „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტის ნატა ამაღლობელის ვაჟს ორი ძიძა ჰყოლია. ერთი ძიძა დილის 7 საათზე მოდის, შუადღეზე – 11-დან 1 საათამდე ნიკოლოზთან ნატაა, ხოლო პირველი საათის შემდეგ მეორე ძიძა მოდის. ჟურნალისტი დილის ექვს საათზე გადის სახლიდან, შუადღეზე ბრუნდება და პირველზე რომ მიდის, ღამის 12 საათამდე ტელევიზიაშია. აი, ასეთი რეჟიმის გამო, ნატა მხოლოდ ორი საათით ახერხებს შვილის ნახვას.

ხათუნა ჟორდანიას თავის უფროს ძმასთან – მერაბთან დღესაც ისეთივე რიდიანი დამოკიდებულება აქვს, როგორც ადრე ჰქონდა, ბავშვობაში. მშობლები რომ მუშაობდნენ, შინ და-ძმა რჩებოდა და მერაბი უვლიდა ხათუნას – დაჰყავდა იგი მასწავლებლებთან, სკოლაში. მერე ლანჩხუთში მოთამაშე ძმასთან, მამას მიჰყვებოდა ხათუნა, გზაში იყიდდნენ ატამს, რადგანაც მერაბს ძალიან უყვარდა ეს ხილი. მერე მზრუნველ დაიკოს კარგად უნდა გაერეცხა, გაეთალა და ისე ეჭმია ძმისთვის ატამი. მოგვიანებით, ძმა მკაცრად აკონტროლებდა თურმე დის შინ დაბრუნების საკითხს.

მოდი და იცხოვრე ამფერ ქვეყანაში!

– რახან თქვენთან ლაყბობისთვის მევიცალე, რას დევეძებ. მგონი, ზამთარი არც აპირებს წათრევას და გადაშენებას, მაგას გადოუშენდა მისი თავი! კაი, ზამთარი იქით იყოს და ამ ჩვენს შოუ-ბიზნესს მოვუბრუნდეთ. 24 თებერვალს თბილისში დაგვიბრუნდა ჩვენი ერის სიამაყე და გულის გავლა, უი, იმას ვენაცვალე, ჩვენი თვალხატულა გოგო. მერე როგორ გვასახელა! პირველი ადგილი დოუკავებია, უმღერია პრესნიაკოვის სიმღერა და „შაირის“ ხალხური ინტერპრეტაცია. "გრან-პრი" იმიზა არ ოუღია, რომ იგი მხოლოდ 18 წლის ზემოთ ყოფილა გათვლილი და სოფო გელოვანს დაუმსახურებია იგი. ეს იყო, როგორც ამიხსნეს, საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც 35 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას. აბა, აზრზე მოდით, ამდენი ქვეყნის მომღერლებს შორის არ გინდოდა პირველობის მოპოვება?! მთელი ჟიურის წევრები თურმე გეიძახოდნენ. „რიმტირი-რიმტირის“ რომ მღეროდა ის ქართველი გოგო დაგვამახსოვრდაო. აბა, რა იქნებოდა! ტყუილია თუ?!

* * *

– რაფერ მალ-მალე იცვლიენ თმის ფერს დღევანდელი გოგოები, გამაგიჟეს



რა! თიკა ფაცაცია ისე თვალდახელშუა იღებავს ამ თავის ლამაზ დალალებს, რომ ფერებს ვერც დეიმახსოვრებ. ერთი პერიოდი მახსოვს, თიკამ ცალ მხარეს ეიხოტრა თმა და რას ეძახით? ჰო, ჰო პანკივით დადიოდა. ისთე, რაფერ მისცა ნება ქმარმა არ ვიცი, ამ ხნის ქალი ვარ და ამფერი „პრიჩოსკა“ არ მინახია! ალბათ, მოსწონს იმ კაცს ცოლის პანკობა, მარა, რა მოსაწონი იგია, ხომ ვერ მეტყვით? არც მე ვიცი, ჰოდა, ქე ვიყოთ ასე ჩვენ-ჩვენთვის.

* * *

– რაიზა ამბობს თემური უარს ინტერვიუებზე, მაინც ვერ გევიგე მე. არა, კი ამბობს



ის კაცი, ერთი და იგივე იბეჭდება და მომბეზრდაო, მაგრამ მერე რა უჭირს, ახალ-ახალი ამბებიც ხომ ხდება ირგვლივ: ხან სიმღერას ჩაწერს, ხან კლიპის გადაღებას აპირობს და ხან კიდო... რა ვიცი... ჰოდა, რა მოუვა ზოგჯერ რომ მოგვცეს მისი ინტერვიუების წაკითხვის ბედნიერება?! გევიგე, ახლა კლიპის გადაღებას აპირობს თურმე, მარა რა სიმღერაზე ჯერ ვერ დავაზუსტე, მარა ისე რა მომკლავს, ეგ რომ არ გევიგო ჰა? იგი ქე ვიცი, ბასა რომ გადეიღებს.

* * *

– გუშინ, ასე დაახლოებით 8 საათი იქნებოდა, კაკუნის ხმა რომ გევიგე ჩემს მუხის კარზე. გავაღე და ფეხებთან წერილი ეგდო. გევიხედ-გამევიხედე, ნეკზე სამჯერ ვიკბინე, იქ არავინ იდგა, ცოტა ქე შევშინდი, მარა უცებ ევიღე წერილი და შემოვვარდი. უცებ გავშალე და რას



ხედავს ჩემი ბებერი თვალები. წერილი კახა კუხიანიძესო! ვერ მივხვდი, მე რატომ მომწერა. ვიღაცა ატეხილი ლაწირაკი იმფერი სიტყვებით ეფერებოდა და ესიყვარულებოდა კახას, ჯერ თვალებს არ დოვუჯერე, მერე მეორეჯერ რომ გადევიკითხე, გავშეშდი. აბა, რაფერ შეიძლება გოგომ ასთე დეიმცირო თავი და ბიჭი ამფერი სიტყვებით შეამკო. ჩემო, სიცოცხლის ელექსიროო, ჩემი ცხოვრების ნაპერწკალოო და ვინ იცის, სადამდე გოუტია იმ ქაჯმა პეტრემ. მოკლედ, კახა, შენ ისთე უყვარხარ ვინმე ნინო ქაჯაიას, რომ მასე არა მგონია დედაშენს უყვარდე.

ა! აგი დეიმახსოვრე!

* * *

– ახლა არ ვიცი, რამდენად დეიჯერებთ, მარა მე როგორც



გევიგე, ისე გეტყვით თქვენც – ბუკა და ლაშა კუკულაძე ერთად შეინიშნებიანო. რაცხა რომ იყოს მათ შორის, არც უნდა იყოს გასაკვირი, კაცმა რომ თქვას, კიდეც შეეფერებიან ერთმანეთს, ერთიც ლამაზია და მეორეც. რავალი თვალხატულა ბიჭია ჩვენი ლაშა, მაგას წესით არც უნდა შეეშალოს კარგის და ცუდის გარჩევა. აბა, ახლა თქვენთვის მომინდვია ამქვეყნის ჭორმართალი. იკითხეთ, მეისმინეთ, წეიკითხეთ და იცოცხლეთ!!!

* * *

– ნენა, ნენა, ამ დღეს გადამარჩინე და არ მინდა არაფერი! გუშინ მივდიოდი პურზე და ჩემს წინ ორი გო-



გო მიცუნცულებდა. ყური მოვკარი, ერთი ეუბნება მეორეს: – იცი, კახა ცისკარიძე რაფერ მიყვარსო, მეორე ტუქსავდა, გოგო ის კაცი ცოლიანია და კიდევ არ ეშვებიო. არ იცით, რა გევიგონე? მე არ მაინტერესებს მაგის ცოლიანობის ამბავი, მიყვარს ჩემთვის და მორჩაო. გადევირევი, ეს რა ხალხია, რა თაობა მოდის. ღმერთო ისთე ნუ მომკლავ, ეს ხალხი ჭკუაზე მოსული რომ არ მანახო.

კითხვა-პასუხი

ყავს თუ არა და-ძმა ჯასტინ ტიმბერლეიქს?



– ჯასტინს ჰყავს ორი ძმა – ჯონათანი და სტივენი

ვინ არიან ერთმანეთისთვის კელი როულანდი და ბიოინს ნოულესი?!

– ბიძაშვილები.

რა სახის ალკოჰოლურ სასმელს ანიჭებს უპირატესობას JLO?

– როგორც ჯენიფერი თავად ამბობს, ალკოჰოლურ სასმელებს იგი მაინცდამაინც არ ეტანება. გამაგრილებელი სასმელებიდან კი ესპანურ „სანგრიას“ ანიჭებს უპირატესობას.

რომელ წელს დაიბადა ლეონარდო დიკაპრიო?



– ლეონარდო დაიბადა 1974 წლის 11 ნოემბერს

როდისთვის გადაიდო JLO-სა და ბენ აფლეკის ქორწილი?

– ზაფხულისათვის.

მაინტერესებს როგორია ემინემის ბუნებრივი თმის ფერი?



– ემინემი ქერაა, მაგრამ ახლა თმა ბუნებრივზე ბევრად ღიად აქვს შეღებილი.

რომელ ჯგუფში მოღვაწეობს Dido-ს ძმა?



– „Faithless“-ში.

მაინტერესებს როგორია ჯულია რობერტსის ბუნებრივი თმის ფერი?



– მუქი ქერა.

სწავლობს თუ არა ნიკ კარტერი რომელიმე უნივერსიტეტში?

– ამჟამად ნიკი სწავლობს ელექტრონული ინჟინერიის ფაკულტეტზე არიზონას შტატში.

რომელია ენრიკე იგლესიასის საყვარელი აქსესუარი?

– ენრიკე განსაკუთრებულ უპირატესობას ქუდებს ანიჭებს.

ყავს თუ არა და-ძმა ბენ ეფლეკს?



– ბენს ჰყავს ძმა ტომ ეფლეკი, რომელიც ასევე მსახიობია და თეატრის სამყაროში საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

რამდენი ალბომი აქვს გამოშვებული ქრისტინა აგილერას?

– სამი.

რომელია Pink-ის საყვარელი ფერი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ვარდისფერი და შავი.

რა ჰქვია შერის ბოლო სინგლს?

– „This Is A Song For A Lonely“

როდის ჩამოვა თბილისში რიკი მარტინი?

– თუ კონცერტის ორგანიზატორები რიკის მისთვის მისაღებ პირობებს და თანხას შესთავაზებენ – შესაძლოა, რომ რიკი მართლაც ესტუმროს ჩვენს დედაქალაქს.

რომელი ფერები უყვარს ნელის ყველაზე მეტად?

– შავი, მწვანე და ვერცხლისფერი.

ჭრელა-ჭრელა ამბები

როგორც გავიგეთ, მსახიობ ეკა კახიანს ტელეკომპანია „ტელე-იმედზე" თავისი გადაცემა აქვს. ეკა საკმაოდ საინტერესო და ორიგინალური ყოფილა ტელეწამყვანის ამპლუაში. ტელეკომპანია სულ მალე გავა ეთერში. რა სახისაა გადაცემა, ეს ჯერ ჩვენთვის ცნობილი არ არის. ფაქტია, რომ მას მისი წამყვანის ნყალობით კარგი რეიტინგი ექნება.

გაინტერესებთ რა სტანდარტების არიან „რონდოს" შხვანთალა გოგონები? ელენე 170 სმ-ია, წონით 52 კგ-ი, ლელა – 175 სმ, წონა კი 59 კგ, მაია – 173 სმ, წონა 59, ხოლო, ნათია – 177 სმ, წონა 55 კგ. გოგონები კვებას მკაცრად აკონტროლებენ. ეს, დაგვეთანხმებით, მათ გარეგნულ იერზეც აისახება.



იცით თუ არა, რომ რომა რცხილაძის სიმღერა „ნატვრის ხე" 1976 წელს შეიქმნა. ერთ დღეს მუსიკოსს სტრესულ მდგომარეობაში გაელვიძა. ღამით ხე უნახავს სიზმარში, რომელიც საოცრად დაღლილი, დაბერებული და ხასხასა იყო. რომა ამდგარა და დაახლოებით დილის 10 საათი იქნებოდა მელოდია ერთი დაკვრით რომ შეუქმნია. მერე დაურეკია ნუგზარ ერგემლიძისთვის, მელოდია დაუკრია და ტექსტის დაწერა უთხოვია მისთვის. საღამოს ექვსი საათისთვის ტექსტი მზად იყო.

გასართობი გვერდი



რამდენად ერკვევი შოუ-ბიზნესში?

გაზეთ "ფან-კლუბის" საშუალებით თქვენ შეგეძლებათ შეამოწმოთ თქვენი ცოდნა, თუ რამდენად ერკვევით შოუ-ბიზნესში. ყველა კითხვას თავზე მოთავსებული აქვს სირთულიდან გამომდინარე ქულები 1-დან 5-ის ჩათვლით. პასუხები გამოქვეყნებულია მე-15 გვერდზე.

3 ქულა

ვინ არის ავტორი აჩიკო მეფარიძისა და ვერიკო ტურაშვილის დუეტისა „მიდიან დღეები"?

1 ქულა

რა ჰქვია ქეთა თოფურიას სიმღერას, რომლის კლიპშიც მომღერალი ხალხურ ტანსაცმელშია გამოწყობილი?

2 ქულა

ვის ხსოვნას მიეძღვნა ლელა წურწუმიას სიმღერა „ჩუმად ნათქვამი"?

5 ქულა

ვინ არის მარიკა თხელიძის პრეს-ატაშე?

4 ქულა

რა ერქვა ჯენიფერ ლოპესის მეუღლეს, რომელიც პროფესიით მოცეკვავე იყო?

1 ქულა

ვინ ასრულებს სიმღერას "ქრებიან და ჩნდებიან"

1 ქულა

ვინ ასრულებს სიმღერას „ჩემი ქალაქი".

2 ქულა

ვისთან ერთად ასრულებს ქეთა თოფურია სიმღერას „ღამის ბლუზი"?

5 ქულა

რომელ სიმღერაზე გადაიღო პირველად კლიპი ლელა წურწუმიამ?

4 ქულა

"მაესტროს" რომელი წამყვანი არის დაკავებული კლიპმეიქერობით?

5 ქულა

რომელი ქართველი მომღერალი აღნიშნავს იუბილეს 25 დეკემბერს?

2 ქულა

ვის ეკუთვნის მაია ბარათაშვილისა და ძმები გულაშვილების დუეტის ტექსტი.

დაითვალეთ ქულები:

0 ქულა: თქვენ საერთოდ ვერ ერკვევით შოუ-ბიზნესში და ალბათ არც ჟურნალი „ოსკარი" წაგიკითხავთ ყურადღებით.

1-დან 3-მდე: შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებმა გვერდზე რომ ჩაგიარონ ან იცნობთ და ან ვერა. თუმცა, ცოტ-ცოტა რამ მაინც გაგეგებათ.

0-დან 8-მდე: სულ ცოტა ხანია, რაც დაინტერესდით შოუ-ბიზნესის ამბებით. ყოველ შემთხვევაში ასეთი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია, თქვენი პასუხებიდან გამომდინარე.

8-დან 15-მდე: შეიძლება საფუძვლიანად ვერ ერკვევით ქართულ შოუ-ბიზნესში, მაგრამ თუ ასე გააგრძელებთ, ალბათ რომელიმე ჟურნალში ერთი წლის მერე სამსახურსაც იშოვით.

15-დან 25-მდე: ყოჩაღ, ალბათ „ოსკარის" არც ერთ ნომერს არ ტოვებთ და გაზეთ „ფან-კლუბის" დახმარებით თქვენს კუმირს უამრავ კითხვას უსვამთ.

15-დან 35-მდე: თქვენ შოუ-ბიზნესის მემატიანე ბრძანდებით და თავისუფლად შეგიძლიათ, ქართული შოუ-ბიზნესის ისტორია დაწეროთ.

გასართობი გვერდი

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1 ქართული ენის გრამატიკაში რა ეწოდება საგნის აღმნიშვნელ სიტყვას:

A) ზმნა B) ზედსართავი სახელი C) არსებითი სახელი D) ნაცვალსახელი

2 ჩამოთვლილი ნაწარმოებებიდან რომელი ეკუთვნის ვაჟა ფშაველას:

A) სტუმარ-მასპინძელი B) კაცია ადამიანი?! C) გამზრდელი D) ელეგია

3 მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარეა:

A) ნილოსი B) კონგო C) მტკვარი D) დნეპრი

4 რომელი ქვეყანა არ ესაზღვრება საქართველოს?

A) ჩეჩნეთი B) აზერბაიჯანი C) საბერძნეთი D) თურქეთი

5 ვინ იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი 2000 წელს:

A) კენედი B) კლინტონი C) ბუში D) ვაშინგტონი

6 მსოფლიოში ყველაზე მაღალი მწვერვალია:

A) იალბუზი B) ევერესტი C) შხარა D) გამარჯვების პიკი

ასოციაციობანა

ჭრელა-ჭრელა ამბები



ენრიკე იგლესიასის კლიპის „Escape"-ის გადაღების წინ მომღერლის პერსონალურ საიტზე გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც ენრიკე ფანებს მის ახალ კლიპში გადასაღებად იწვევდა. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის თუ რამდენი ფანი გამოეხმაურებოდა ამ წინადადებას. ამიტომაც თაყვანისმცემელთათვის სპეციალური კასტინგი მოეწყო და გამარჯვებულნი იგლესიასის კლიპში გადაიღეს.

ახლახან ჯენიფერ ლოპესმა მორიგი დუეტი ჩაწერა და მის პარტნიორ LL.COOL.J-სთან ერთად სინგლზე კლიპიც გადაიღო. კლიპი საკმაოდ ორიგინალური გამოვიდა და სიმღერაც მალე გაჰიტდა, მაგრამ კრიტიკოსებმა ვიდეორგოლს მაინც დასდეს წუნი. მათი თქმით, კლიპში JLO-ს ზედმეტი მაკიაჟი აქვს გაკეთებული და „გადატყლაპნილ თოჯინას" ჰგავს. აი, ასე, კრიტიკოსთა გულის მოგება მართლაც ძალიან ძნელია.

ჯგუფ „Blue"-ს ბიჭებმა თურმე ძლივს დაითანხმეს ელტონ ჯონი იმაზე, რომ ეს უკანასკნელი „Sorry Seems To Be The Hardest Word"-ის კლიპში გამოჩენილიყო. „მათ ისე დაჟინებით მთხოვეს კლიპში შენს თეთრ როიალთან ერთად გამოჩნდიო, რომ უარი ვერ ვთქვი. აქვე მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ჩემი დუეტით ძალიან კმაყოფილი ვარ. მართალი გითხრათ არც კი მეგონა, რომ „Blue"-ს წევრები ასეთი ნიჭიერი ბიჭები იყვნენ" – განაცხადა ელტონმა.

შაკირა და მისი ფანები

შაკირა მებარაკ რიპოლი გახლავთ 2001 წლის აღმოჩენა და ის შემსრულებელი, რომელიც დღეს-დღეობით მთელს მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და ჰყავს უამრავი თაყვანისმცემელი.

შაკირა ბუნებით არის ძალიან უშუალო და კონტაქტური, ამიტომაც იგი ყოველთვის ცდილობს, რომ აქტიურ ფანებს დაუმეგობრდეს და მათთან თბილი დამოკიდებულება ჰქონდეს. „ბავშვობაში მეც ვიყავი ჯგუფ „Aerosmith"-ისა და „Mara"-ს ფანი, ამიტომაც ჩემი ფანების კარგად მესმის და მინდა, რომ მათ მეგობრად და ახლობელ ადამიანად ჩამთვალონ. მე ჩემს ფანებს ყოველთვის ვურჩევ, რომ ოცნებების ასახდენად იბრძოლონ,

რადგან თუ ძალიან მოინდომებ აუხდენელი სურვილი არ ექნებათ. მაგალითად მე როგორც გითხარით „Aerksmith"-ის ფანი ვიყავი, ახლა კი ისინი ჩემი მეგობრები არიან და ძალიან ხშირად ჩვენ ერთად ვმართავთ კონცერტებს" – ამბობს შაკირა.

ცნობილი ფაქტია, რომ შაკირას ყოველთვის განსაკუთრებული სიმღერის ტექსტები აქვს ხოლმე და თუ რაში გამოიხატება მათი განსაკუთრებულობა, ამაზე თავად მომღერლის ფანები ისაუბრებენ.

ვანესა ჯექსონი (18 წლის) – „როცა შაკირას სიმღერა „The One" მოვისმინე მისი ტექსტიდან გამომდინარე მივხვდი, რომ ჩემი ბოიფრენდი გულწრფელად მიყვარდა და მას რომ დავშორებოდი დიდ სისულელეს ჩავიდენდი და თავს გავიუბედურებდი."

ბრუნო (20 წლის) – „გასულ წელს ჩემმა მეგობარმა გოგონამ მიმატოვა, ამის გამო თავს ძალიან მარტოსულად და უბედურად ვგრძნობდი, მაგრამ როცა შაკირას „იმედი არ დაკარგო" „No pierdes La Esperanza" მოვისმინე, მივხვდი, რომ ცხოვრება გრძელდება და თუ იმედს არ დაკარგავ ხვალინდელი დღე შენთვის უფრო უკეთესი და ბედნიერი იქნება.

– შაკირა, ფანებთან დაკავშირებულ არასასიამოვნო ისტორიას ხომ არ გაიხსენებ?

– არ ვიცი ამ ადამიანებს რამდენად შეიძლება ეწოდოთ ფანები, მაგრამ ეს ისტორია კი ნამდვილად ცუდად დამამახსოვრდა. რამდენიმე თვის წინ მე და ჩემი ბოიფრენდი რესტორანში ვიყავით სავახშმოდ, იქ ჩვენთან ორი გოგო მოვიდა და

ჩემს ფანებად გაგიცანო. მიმიხრეს თქვენ ფოტოებსა და პლაკატებს ვაგროვებთ და თუ წინააღმდეგი არ იქნებით თქვენ შეგვარებულთან ერთად ერთ სურათს გადაგიღებთო. ჩვენც უარი ვერ ვუთხარით და ვადაღების უფლება მივეცით. ამ ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ კი ჩვენი ეს ფოტო ერთ-ერთი ბულვარული ჟურნალის გარეკანზე ვიხილეთ. როგორც გაირკვა, ამ გოგონებს ჟურნალის რედაქტორისთვის ფოტო მიუყიდიათ და კარგი თანხაც მიულიათ. იმ დროს ისე გავმწარდი, რომ ვაპირებდი გოგონებისთვის სასამართლოში მეჩივლა და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად სერიოზული თანხა მომეთხოვა, მაგრამ ანტონიომ ამ ნაბიჯის გადადგმა გადამაფიქრებინა, მითხრა მათ დონეზე ნუ დაეშვები და მაგ გოგოებს თავი დაანებეო.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საახალწლოდ შაკირამ გაჭირვებულ თაყვანისმცემლებს ძვირ-

ფასი მარკის ტანსაცმელი ჩამოურიგა და მათთვის უფასო კონცერტიც კი გამართა. სხვათა შორის ფანების ვიწრო წრეში შაკირა კონცერტებს ხშირად აწყობს, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგია იმისა, რომ ტელეკამერებმა ეს კონცერტები გადაიღონ და შემდეგ ისინი სხვადასხვა ტელეარხის ეთერში გაუშვან. „მე ამ კონცერტებს ფრომოუშენის მიზნით არ ვმართავ, უბრალოდ მინდა, რომ ჩემი მსმენელი უფრო ახლო გავიცნო, მათ წინაშე სრულად დავიხარჯო" – ამბობს შაკირა.

შაკირას ხილვით ყველაზე ნაკლებად გათამამებულნი მისი მშობლიური ფანები ანუ კოლუმბიელი თაყვანისმცემლები არიან, მაგრამ, როცა მომღერალი სამშობლოში ჩადის იგი ამ ადამიანებს არასდროს არ ივიწყებს და მათთვის კონცერტების გაორმაგებულ რაოდენობას მართავს.

მოამზადა
თამთა მჭედლიშვილმა

ამავე ნომრის პასუხები

ლაბირინთი მე-10 გვ-ზე
მეტეორიტი.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
კონკურსი მე-11 გვ-ზე
1 – ა, 2 – ა, 3 – ა, 4 – გ, 5 – ბ, 6 – ბ.

ასოციაციობანა
ქეთა თოფურია.

სკანვორდი მე-13 გვ-ზე
1-4 – ნიავი, 1-7 – და, 2-4 – ჯავახიშვილი, 3-11 – პელე, 3-13 – ელი, 4-6 – ენა, 5-6 – გველი, 5-14 – ლილ, 6-1 – ლამა, 6-6 – ნანა, 6-12 ნალი, 7-1 – მეხი, 7-6 – პალიტრა, 7-12 – ნალი, 8-3 – პოლ, 8-8 – პროზა, 8-9 – შიმშილი, 9-2 – ჯორჯ, 9-12 – მერსი, 9-16 – იაქე, 10-2 – ჯოლი, 10-5 – სტინგი, 11-5 – ურია, 11-15 – ორბიტა, 11-16 – სელაპი, 12-12 – ოსლო, 12-12 – კრისტი, 13-6 – მორი, 13-7 – კენტი, 14-4 – იუმორი, 14-11 – სია, 14-12 – კაკადუ, 15-7 – რად.

სკანვორდი მე-14 გვ-ზე
1-4 – იდეა, 1-7 – მეა, 1-11 – გან, 1-12 – ონორე, 3-4 – ბუდა, 4-6 – ლიმა, 5-5 – დელი, 6-1 – ლიკანი, 6-8 – კარლ, 6-13 – სერ, 7-1 – კიი, 7-5 – დიადი, 7-7 – ატლასი, 7-8 – მითი, 7-13 ნილსისა, 8-8 – კაენი, 8-14 – სილუეტი, 9-1 – მანდილი, 9-1 – ჯიო, 9-9 – აღრია, 9-16 – ინი, 9-16 – თამადა, 10-4 – ხორაგი, 10-4 – პო, 10-16 – თხილი, 11-11 – ცოლი, 12-12 – ლა, 13-4 – ყამირი, 14-4 – ყუა, 14-5 – კურაპალატი, 14-8 – ბენი, 15-8 – ხაფანგი, 16-7 – ლომისი, 16-10 – ბუ, 16-13 – ნინო, 16-14 – ოკნა, 16-16 – ნო, 17-2 – ილიკო, 17-3 – კი, 17-4 – ვაფლი, 17-5 – ვისკი, 17-7 – ლიფსიტა, 18-7 – ტარიკო, 18-9 – პიანინო, 19-2 – ანასტასია, 19-12 – მანტია, 19-13 – დემნა, 19-15 – რიდი, 19-15 – ფერო, 20-2 – მაფია, 20-8 – ალთე, 21-13 – ხანი, 23-5 – აბო, 23-6 – აია, 24-11 – კიო, 24-12 – ნოე.

სკანვორდი მე-15 გვ-ზე
1-7 – ჭია, 3-4 ნოტი, 3-6 ლოტო, 3-12 – დო, 4-4 მაგდანა, 4-6 – ურუგვაი, 5-1 – ომარი, 5-8 – კამარა, 5-9 – მოსი, 5-10 – აიაზმა, 6-14 – ფარდაგი, 6-16 – იოლი, 7-8 – ბეგი, 8-2 – კენგურუ, 8-3 – ჰავა, 8-7 – რაგემი, 8-11 – კეფალი, 8-13 – ნერგი, 9-2 – სინა, 9-7 – გოგა, 9-13 – მაქო, 9-15 – ბია, 9-15 – ბოა, 10-10 – საჰარა, 10-13 – ალო, 11-7 – გემი, 11-15 – ბალბა, 12-4 – ასი, 12-5 – დეუ, 13-12 – ნოა, 14-4 – მუნი, 14-6 – კი, 15-12 – ოდა.

სკანვორდი მე-16 გვ-ზე
1-7 – მეთ, 1-11 ტაო, 1-12 – ორაშვილი, 2-5 – თილისმა, 3-5 ამირანი, 3-12 – ვიაგრა, 4-7 – რა, 4-8 გოგრა, 5-7 – ფა, 5-10 – აგავა, 5-12 – შერი, 6-2 – დუხოვნი, 6-3 – მარო, 7-12 – სავი, 7-15 ალიკე, 7-16 – მერე, 8-4 – მარაო, 8-7 – ციერკი, 8-12 – თალაგვა, 9-2 – ონა, 9-2 – ნატა, 9-12 ლომი, 10-6 – ირდი, 10-7 ბართი, 10-7 – ბიტი, 10-13 – ავანა, 10-14 – რკ, 10-16 – ნი, 11-5 – ორორატი, 12-5 – ვატო, 13-7 – ლრი, 13-7 – ოვა, 13-11 – ბეგრა, 15-11 – ლონა, 14-8 – გირაო, 15-5 – ლია, 15-6 – ია, 15-12 – ზეზვა.

ანეკდოტები

ლექციაზე პროფესორი უხსნის სტუდენტებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბუნებამ ადამიანი ერთ რამეში დაჩაგრა, კომპენსაციას აძლევს მეორეში.

მაგ:

– თუ ადამიანი ბრმაა, მას სმენა აქვს ზედმიწევნით განვითარებული.

– თუ ფიზიკურად ძლიერია, გონებრივად არის ჩამორჩენილი.

რეპლიკა აუდიტორიიდან:

– ახლა კი გასაგებია, რატომ გახდით პროფესორი!

* * *

– რატომ არ მინახულე საავადმყოფოში? ვკვდებოდი კაცი, ძლივს გადავრჩი!

– არ მეგონა თუ გადარჩებოდი, თვარა რავა არ გინახულებდი.

* * *

ავტობუსში:

– რატომ არ მივდივართ? უკვე ათი წუთია ვდგავართ.

– შოფერია ნამეტანი ზრდილობიანი.

– ეგ რას ნიშნავს?

– თავისი ადგილი ვიღაც მოხუც ქალს დაუთმო.

* * *

გაზეთების კიოსკში:

– უკაცრავად, გუშინდელი გაზეთი ხომ არ გაქვთ?

– არა, მაგრამ თუ გინდა, დღევანდელს შეგინახავთ და ხვალ იყიდე.

სკანვორდი



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16

ს კ ა ნ ვ ო ნ დ ი

ერთვნული ბიბლიოთეკა



- კოლიეოდის მსასიერი
- ... ალარაჯეთი
- „არ ჩერდება დრო“ – კლიმენტიევი
- ავგარიზი
- კავკასიონზე მიკაკეული გვირი
- რუსული ჯგუფი
- ეგვიპტელების ღვთაება
- ბალჩეული მცენარე
- ერთგვარი აერონავლი
- ალოეს მსგავსი მცენარე
- სოფელი მოვლერალი
- „საიდუმლო მასალები“ – მთ. რეოლის შვილი
- ანეკდოტების კერძონანი
- მჭაგელი ფრინველი
- საგვერანალი მცენარე
- შვედეგ
- სანიაველელი
- ჯაგვაზის „საესახერი“
- შორენას მამა („დიდოსტატის მარჯვენა“)
- ერთგვარი მარგარინი
- თოფურიას დედა
- ყნოველთა მეფე
- ხალეულთა სადეზინფექციო ხსნარი
- ზოლიანი ბანანი ინფორმატიული ერთეული
- გიორგი I-ის საყვარელი ცხოველი
- ფესნოტი
- მათემატიკური ფორმულა
- მთა სადაც კიდობანი გაჩერდა
- ქაგვის საზოვი ერთეული
- ქაბი
- თავფუნასა და სტეფანეს დედეტი
- საქალაქო ტრანსპორტი
- ფლინარე რუსეთში
- დროებით „ნაკლული“ რამ
- ერთგვარი ქალის სახელი
- გაზაფხულის ყვავილი
- „ბახტრიონი“ – კერძონანი

ერთვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი “ფან-კლუბი” საშუალებას გაძლევთ პირისპირ შეხვდეთ თქვენს საყვარელ ჯგუფ –

“ქუჩის ბიჭებს”.

ამისათვის საჭიროა შეაგროვოთ ორი ბარათი, რომელსაც ჩვენი გაზეთი პერიოდულად გამოაქვეყნებს და ის, ვინც შეაგროვებს ციფრებს 1, 2 მიიღებს მონაწილეობას გათამაშებაში, რომლის პირობებიც გამოქვეყნდება გაზეთ “ფან-კლუბის” მე-7 ნომერში. გამარჯვებული დასაჩუქრდება ბილეთით, რომლის საშუალებითაც იგი პირისპირ შეხვდება “ქუჩის ბიჭებს”.

ყურადღება!

ნებისმიერი კითხვა, რომელიც გსურთ დაუსვათ თქვენთვის საყვარელ პიროვნებას და შესაბამისად მიიღოთ პასუხი, უნდა ჩააწერინოთ გაზეთ “ფან-კლუბის” ოპერატორს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 15-დან 16 სთ-მდე. წერილები კი გამოგზავნეთ მისამართზე: კოსტავას 14, მე-2 სართ., გაზეთი “ფან-კლუბი”

აბა, გამოიცანი





ისინი, ვინც გამოიცნობთ ვინ არიან გამოსახულნი ამ ფოტოებზე, დაგვიკავშირდით ორშაბათს, 15 საათზე. ტელ: 98-95-79